ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საკრედიტო ხელშეკრულება N **2025 წ.**

სესხის საპროცენტო განაკვეთი
▪ სესხის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
▪ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი: წლიური ---% (რაც შეადგენს ყოველთვიურად ---%)
▪ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

ფინანსური ხარჯები
▪ ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი): **განისაზღვრება თანდართული გრაფიკის შესაბამისად**
▪ ვადის ბოლოს შენატანი:
▪ სესხის გაცემის საკომისიო:
▪ გირავნობის რეგისტრაციის საფასური:

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
▪ სესხის მთლიანი თანხის ოდენობა:
▪ მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:
▪ სესხის ვადა:
▪ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
▪ წინსწრებით დაფარვის საკომისიო, მათ შორის, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, 0,5%, თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0% – 6 თვემდე ვადის შემთხვევაში.
▪ ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის -- %. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
▪ გრაფიკის ცვლილების საკომისიო: სესხის ნარჩენი ძირი თანხის 1%.
▪ დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მსესხებლისათვის უფასოდ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

▪ ცალმხრივი ცვლილებები არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მიკრობანკის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.
▪ მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მთითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პრაქტიკული ინსტრუქციები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 2.14. – 2.18. პუნქტების შესაბამისად.
▪ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.
▪ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

საკრედიტო ხელშეკრულება N

ქ.თბილისი **------2025 წ.**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. გამსესხებელი	სახელწოდება:	**სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში მიკრობანკი)**
	იურიდიული მისამართი:	**ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2**
	წარმომადგენელი:	
	ტელეფონი:	**032 2-50-50-02**
	ელ.ფოსტა:	**info@mbc.com.ge**
	საიდენტიფიკაციო კოდი:	**404967078**
	საზედამხედველო ორგანოს	**საქართველოს ეროვნული ბანკი**
	დასახელება და მისამართი:	**0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2**
	მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ნომერი:	**472**
	საკრედიტო შუამავალი:	
1.2. მსესხებელი	სახელი, გვარი/დასახელება:	
	დაბადების/რეგისტრაციის თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	
	რეგისტრაციის/იურიდიული მისამართი:	
	პასპ/პირად. მოწმობის N:	
	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
	ტელეფონი:	
	ელ. ფოსტა:	
	წარმომადგენელი:	

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელი გასცემს სესხს ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დაფაროს იგი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. სესხის თანხის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. თუ მსესხებელს მიკრობანკში მიმდინარე ანგარიში არ აქვს, სესხის მიღების შესახებ გადაწყვეტილება იმავდროულად ჩაითვლება მსესხებლის განაცხადად ანგარიშის გახსნის შესახებ.

2.2. სესხის მოცულობა და არსებითი პირობები

2.2.1. სესხის ოდენობა:	
2.2.2. სესხის ტიპი:	
2.2.3. სესხის ვადა:	

2.2.4. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	
2.2.5. საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
2.2.6. წლიური საპროცენტო განაკვეთი:	
2.2.7. ხელშეკრულების ცვლილების საკომისიო:	სესხის ნარჩენი ძირი თანხის 1%
2.2.8. გასატანი თანხის ოდენობა:	
2.2.9. საშეღავათო პერიოდი:	
2.2.10. კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო:	იხ. 2.5. პუნქტი
2.2.11. პირგასამტეხლო (ჯარიმა) ვადაგადაცილებაზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე:	
2.2.12. სესხის მიზნობრიობა:	განისაზღვრება გრაფიკით
2.2.13. დამატებითი პირობები:	განისაზღვრება გრაფიკით
2.2.14. ფინანსური ხარჯები:	**ყოველთვიური შენატანები:** განისაზღვრება თანდართული გრაფიკის შესაბამისად; **სესხის გაცემის საკომისიო:** **ვადის ბოლოს შენატანი:** **გირავნობის რეგისტრაციის საფასური:**
2.2.15. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
2.2.16. მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	

2.3. წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ. N ხელშეკრულების დანართსა და განუყოფელ ნაწილს, იდება მის ფარგლებში და უზრუნველყოფილია ხსენებული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული გირავნობით.

2.4. მხარეები შეთანხმდნენ სესხის დაბრუნების ვადაზე და პირობებზე, რომელიც ასახულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართულ, გამსესხებლისა და მსესხებლის მიერ ხელმოწერილ, გადახდის გრაფიკში (დანართი N1) და რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.5. სესხის წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, მათ შორის, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, წინსწრების საკომისიო შეადგენს:

ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%;

ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 1%;

გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%.

მსესხებელს არ დაეკისრება წინსწრების საკომისიო თუ სესხის დაფარვა ხდება მიკრობანკის მოთხოვნით ან/და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები ვადა.

2.6. თუ სესხის წინასწარ ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, ხდება ვადის ცვლილება, მსესხებელზე გაიცემა გადახდის ახალი გრაფიკი.

2.7. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მხარეთა შეთანხმებით ცვლილებისას, მსესხებელს დაეკისრება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკომისიო. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკომისიოს გადახდას ექვემდებარება შემდეგი სახის ცვლილელები, შემდეგი ოდენობით და წესით:

2.7.1. სესხის რესტრუქტურიზაცია – სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის დარიცხვის პირობების ცვლილება, რაც გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეებით (გადახდისუნარიანობის გაუარესებით). რესტრუქტურიზაციის საკომისიოს ოდენობა შეადგენს კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 1%-ს;

2.7.2. სესხის გრაფიკის ცვლილება – სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის დარიცხვის პირობების ცვლილება, რაც არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური სირთულეებით (გადახდისუნარიანობის გაუარესებით). გრაფიკის ცვლილების საკომისიოს ოდენობა შეადგენს კრედიტის ნარჩენი ძირი თანხის 1%-ს;,

2.8. მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი დაფაროს არაუგვიანეს გადახდის გრაფიკში მითითებული ვადის ბოლო დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია დააკისროს

პირგასამტეხლო, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 2.2.11. პუნქტში მითითებული ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. პირგასამტეხლოს დარიცხვის მაქსიმალური ვადაა 180 დღე. თუ გადახდის დღე ემთხვევა უქმე (არასამუშაო) დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რა შემთხვევაშიც მიკრობანკი არ დარიცხავს დამატებით საკომისიოსა და პირგასამტეხლოს.

2.9. მსესხებლის მიერ ნებისმიერი არხის მეშვეობით კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის გადახდისას, არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ მსესხებელი არ დააფიქსირებს შესაბამის მოთხოვნას. მსესხებლის მიერ მოთხოვნის დაფიქსირება უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმით (სატელეფონო კავშირის, ელექტრონული ფოსტის ან სერვის ცენტრის სალაროში ზეპირსიტყვიერად) რომ შესაძლებელი იყოს მსესხებლის იდენტიფიკაცია.

2.10. დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მსესხებლისათვის უფასოდ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

2.11. ცალმხრივი ცვლილებები არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მიკრობანკის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.

2.12. თუ კრედიტზე (სესხზე), მათ შორის ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იცვლება შენატანის ოდენობა, მიკრობანკი ვალდებულია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით) ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე, მსესხებელს (ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე მსესხებლის/თანამსესხებლის არსებობის შემთხვევაში – ყველა მათგანს) ასევე, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ცვლილებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე. ასევე, მსესხებლის (რამდენიმე მსესხებლის არსებობის შემთხვევაში ყოველი მათგანის) მიერ ცვლილების განხორციელების მომენტში შეცვლილ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში. მიკრობანკი არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია მიკრობანკისთვის.

2.13. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობას (რიგითობას) ირჩევს მსესხებელი როგორც დისტანციური არხებით გადახდისას, ასევე, მიკრობანკის სერვის ცენტრის სალაროში თანხის შეტანისას. იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადახდისას მსესხებელმა არ განახორციელა ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, ვალდებულების დაფარვის რიგითობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2.14. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მთითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.15. წინამდებარე ხელშეკრულების 2.14. პუქნტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების მიზნით, მსესხებელი უფლებამოსილია მიკრობანკის ნებისმიერ სერვის ცენტრში, ადგილზე განცხადების დაწერის გზით, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე.

2.16. განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მსესხებელი ვალდებულია მიკრობანკს დაუბრუნოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა,

კრედიტზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი და გირავნობის რეგისტრაციის საფასური, თუ აღნიშნული საფასურის გადახდა განხორციელდა მიკრობანკის მიერ. კრედიტზე პროცენტის დარიცხვა მოხდება მსესხებლის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე ფაქტობრივად გასული დღეების შესაბამისად.

2.17. მსესხებელს, ამ ხელშეკრულების 2.16. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, არ ეკისრება 2.8. პუნქტის შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.

2.18. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.16. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დადგენილ ვადაში სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება არ მოიშლება და პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება 2.8. პუნქტის და თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, პროცედურები და შედეგები

3.1. ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლით ან მხარეთა შეთანხმებით. გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულებების ვადამდელი შესრულება (ხელშეკრულების შეწყვეტა), თუ მსესხებელმა დაარღვია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი რომელიმე ვალდებულება, მათ შორის (და არამარტო) დაარღვია გადახდის გრაფიკი და დარღვევა არ იქნა გამოსწორებული გამსესხებლის მიერ შესაბამისი შეტყობინებით (გაფრთხილებით) დაწესებულ ვადაში. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიკრობანკი მსესხებელს უგზავნის შეტყობინებას/გაფრთხილებას, რომლითაც განუსაზღვრავს დარღვეული ვალდებულების შესრულების 14 დღიან ვადას. აღნიშნულ ვადაში მსესხებლის მხრიდან დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე.

3.2. ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლისათვის ვალდებულების სრულად შესრულება სესხის ძირითადი თანხის, დარიცხული სარგებლის (პროცენტის) და პირგასამტეხლოს ჩათვლით. ამავე დროს გამსესხებელი უფლებამოსილია გაუგზავნოს უზრუნველყოფის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს შეტყობინება და მოითხოვოს გირავნობის საგნის დაუყოვნებლივ გადაცემა. ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და გირავნობის საგნის გადმოუცემლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ მიმართოს შსს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და მიღებული გირავნობის მოწმობის საფუძველზე განახორციელოს გირავნობის საგნის ამოღება/ჩამორთმევა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი. მიკრობანკი ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მსესხებლისათვის თანხის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

3.3. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასესხო და მასთან დაკავშირებული სხვა ფულადი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის,ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით, გარდა უზრუნველყოფის საგნის (სატრანსპორტო საშუალების) განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევებისა. გირავნობის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს და აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

3.4. უზრუნველყოფის საგანი განზრახ განადგურებულად ჩაითვლება, თუ:

3.4.1. უზრუნველყოფის ხელშეკრულებით განსაზღვრული უზრუნველყოფის საგნის შეფასებითი ღირებულება შემცირდება 30%-ით და მეტით, რაც დგინდება გირავნობის საგნის გამსესხებლის მიერ განმეორებით შეფასებით (ღირებულების შემცირებად არ ჩაითვლება სესხის გაცემის და შესაბამისი შეფასების მომენტიდან უზრუნველყოფის საგნის წლიური ცვეთა, კერძოდ, ყოველწლიურად არაუმეტეს შეფასების აქტით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით);

3.4.2. 3.4.1. პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად, ან მათ გარეშე, დგინდება, რომ უზრუნველყოფის საგნის არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება სესხის გაცემის მომენტისთვის გამსესხებლის მიერ შედგენილი შეფასების აქტით განსაზღვრულ მდგომარეობას და სატრანსპორტო საშუალება განადგურებულია, გამოუსადეგარია გამოყენებისათვის, გაუმართავია, დაზიანებულია ავტოსაგზაო შემთხვევის ან სხვა გარემოების შედეგად, დაშლილია, მოცილებულია მნიშვნელოვანი ნაწილები, დამწვარია, წყალში ჩანაძირია ან/და აღებიშნება სხვაგვარი თვალსაჩინო დაზიანება და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება გამსესხებლის მიერ გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალით. მიუხედავად აღნიშნულისა, უზრუნველყოფის საგანი არ ჩაითვლება განზრახ განადგურებულად, თუ მსესხებელი/მესაკუთრე წარმოადგენს უფლებამოსილი პირის/დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს ან/და ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დასტურდება, რომ უზრუნველყოფის საგნის

განადგურება გამოწვეულია მსესხებლისგან/მესაკუთრისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით ან/და მისი ბრალის გარეშე. ნებისმიერ შემთვევაში უზრუნველყოფის საგანი ჩაითვლება განზრახ განადგურებულად, თუ მსესხებელს/მესაკუთრეს აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული აქვს ნებისმიერი ანაზღაურება, მათ შორის სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც უნდა მოხმარებოდა განადგურებული უზრუნველყოფის საგნის მდგომარეობის გაუმჯობესებას ან დაიკავებდა უზრუნველყოფის საგნის ადგილს და აღნიშნული არ განახორციელა.

3.5. უსრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების შემთვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილია განზრახ განადგურებულ (დაზიანებულ) უზრუნველყოფის საგანზე მიაქციოს აღსრულება, მოახდინოს მისი რეალიზაცია არსებულ მდგომარეობაში და რეალიზაციის შემდეგ დარენილი ვალის გადახდევინების მიზნით, მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს და აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე ან აღნიშნული განახორციელოს განზახ განადგურებული გირავნობის საგნის აღსრულება/რეალიზაციის გარეშე.

3.6. უზრუნველყოფის საგანი გადამალულად ჩაითვლება, თუ გამსესხებლის მიერ კლიენტისთვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისთვის შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) კვირის ვადაში გამსესხებელს არ წარედგინება უზრუნველყოფის საგანი, ან თუ უზრუნველყოფის საგანი ვერ იქნა მოძიებული აღმასრულებლის მიერ ძებნა-დაკავებაზე დასმიდან 2 თვის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც მიკრობანკი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს და აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 4. პრეტენზიები და დავები

4.1. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე (032) 2505002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. მსესხებელი ინფორმირებულია მიკრობანკის კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებაზე, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართისა და მოთხოვნის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან.

მსესხებელი _____

(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

გამსესხებელი _____

(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)